

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ციცინო ლაფაური

ქართველ სიმბოლისტთა მინიატურული პროზა

ფილოლოგიის დოქტორის (1005) აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

სპეციალობა: ქართული ლიტერატურა

თელავი

2017 წ.

ნაშრომი შესრულებულია იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ნინო კოჭლოშვილი

რეცენზენტები:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ლუიზა ხვიჩია-ბოჩკოვა
ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი,
თინათინ ასათიანი

დაცვა შედგება 2017 წლის ____ _____ საათზე იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე: კორპუსი ____ აუდიტორია ____

მისამართი: საქართველო, თელავი, 2200
ქართული უნივერსიტეტის ქუჩა #1
ტელ.: +995 350 27 24 01

დისერტაციის გაცნობა შეიძლება იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და ვებგვერდზე: <http://tesau.edu.ge/>

სადისერტაციო საბჭოს მდივანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ნინო კოჭლოშვილი

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

ჩვენი საკვალიფიკაციო ნაშრომი მოიცავს ქართველ სიმბოლისტთა შემოქმედებისა და მოღვაწეობის საინტერესო პერიოდს. მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართველმა სიმბოლისტებმა თავიანთი რეფორმატორული იდეებით შექმნეს მთელი ეპოქა. ახალი პოეტური ფორმების შემოტანითა და დამკვიდრებით სულ სხვა მასშტაბები და სიმაღლე შესძინეს ქართულ მწერლობას.

ჩვენი თეორიული კვლევის საგანი ქართველ სიმბოლისტთა მინიატურული პროზაა, რომლის განვითარება დაკავშირებულია „ცისფერყანწელთა“ სახელთან. მათი ნაღვაწის გვერდის ავლით შეუძლებელია მინიატურული პროზის განვითარების თავისებურებათა სათანადო წარმოჩენა. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სიმბოლისტური მინიატურის ავტორთა წვლილის განსაზღვრა, რომლებმაც უდიდესი როლი ითამაშეს ქართული მინიატურული პროზის განვითარების საქმეში.

ლეგენდარულმა ორდენმა გარდატეხა შეიტანა ქართული კულტურის, ქართული მწერლობის განვითარების საქმეში. სწორედ ახალგაზრდა სიმბოლისტები აღმოჩნდნენ ქართული ხელოვნების სულიერების მოდერნისტები, რომლებმაც ევროპის კარი გაუღეს ქართულ მწერლობას ისეთი ლირიკულ-ეპიკური ჟანრების განვითარებით, როგორებიცაა: ესე, ნოველა, მინიატურა, ეტიუდი, ესკიზი, ამბავი, ანეგდოტი, სურათი, ჩანახატი, ველრიბრი, სონეტი, ტრიოლეტი, ტრიფტიქი, რონდო, ეკლოგა, სექსტინა და სხვა.

საკვალიფიკაციო თემაზე მუშაობისას მინიატურები გავაანალიზეთ ევროპელ და ქართველ სიმბოლისტთა ლიტერატურულ-ესთეტიკურ პრინციპებზე დაყრდნობით. მინიატურული პროზის ნიმუშებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი დავუთმეთ ქართველ სიმბოლისტთა ესეისტიკისა და პუბლიცისტიკის შესწავლის საკითხს, რომელთა გარეშე შეუძლებელია ქართული სიმბოლისტური მინიატურის საფუძვლიანი შესწავლა.

ქართველ სიმბოლისტთა მინიატურებში წინა პლანზეა წამოწეული ავტორის სუბიექტური განცდები, სწრაფვა ირეალური, გონებისმილმიური სამყაროს შეცნობისკენ, სიტყვისა და მუსიკის კულტი, სილამაზის არსის არატრადიციული გაგება, ბოჰემური ცხოვრების განდიდება და სხვა.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში მცირე პროზაული ჟანრებიდან ნაკლებადაა შესწავლილი მინიატურა. დღემდე მხოლოდ რამდენიმე ნაშრომი მიეძღვნა ცალკეულ ავტორთა მინიატურის შესწავლის საკითხს, გამოქვეყნდა სტატიები ქართულ ლიტერატურაში მინიატურული ჟანრის წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერებათა შესახებ. თუმცა განზოგადებელი ხასიათის ნაშრომები მინიატურის ისტორიის, წარმოშობისა და განვითარების თავისებურებათა შესახებ თითქმის არ გვაქვს.

დღესდღეობით სათანადოდ არაა შეფასებული იმ შემოქმედთა ღვაწლი, რომლებმაც დახვეწეს და თემატურად გაამრავალფეროვნეს ქართული მწერლობა და განავითარეს მინიატურული პროზა. საკვალიფიკაციო ნაშრომში ახალი კუთხითაა გაშუქებული მცირე პროზის განვითარების გზები, მისი მხატვრულ-ესთეტიკური და მსოფლმხედველობრივი პრინციპები, რომელთა გენეზისი გარკვეულწილად დაკავშირებულია არა მარტო ძველ ქართულ მწერლობასთან, არამედ ფოლკლორთანაც.

საკვლევი თემის აქტუალობა: წარმოდგენილი ნაშრომი ქართველ სიმბოლისტთა მინიატურული პროზის შესწავლისა და მონოგრაფიული განხილვის ერთ-ერთი პირველი ცდაა. ეს პრობლემა ყურადღებას იპყრობს ლიტერატურული კონკრეტულობითა და თეორიული განზოგადებით.

ჩვენი საკვლევი თემის აქტუალობა განპირობებულია ლიტერატურის თეორეტიკოსთა განსაკუთრებული ინტერესით მეოცე საუკუნის ოციანი წლების მოდერნისტული მიმართულების მიერ დამკვიდრებული ექსპერიმენტების, კონკრეტულად - ჟანრებისა და ფორმათა სინთეზის მიმართ. მინიატურული პროზის განვითარების საქმეში ქართველმა სიმბოლისტებმა

უდიდესი წვლილი შეიტანეს. სიმბოლისტურ სკოლას თითქმის ათი წლის განმავლობაში ხელთ ეპყრა ჰეგემონობა ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში.

ჩვენს საკვალიფიკაციო ნაშრომში დავასაბუთეთ კვლევის აქტუალობა, მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული ღირებულება. სიმბოლისტურმა სკოლამ ახალი სული შთაბერა მინიატურულ პროზას და დასავლური კულტურის აპოლოგეტად მოევლინა ქართულ მწერლობას.

ქართველ სიმბოლისტთა შემოქმედებაში წინა პლანზე იდგა რეფორმატორული იდეები. ისინი სამართლიანად მიიჩნეოდნენ ქართული სიტყვის „საჭეთმპყრობელებად“ და გაბედულ „ექსპერიმენტატორებად“, რომლებმაც ქართულ ნიადაგზე დაამკვიდრეს ლიტერატურული ჟანრის სრულიად ახალი ფორმები. ქართველ სიმბოლისტთა მრავალმხრივი და მრავალფეროვანი რეფორმატორული შემოქმედება, მათი მინიატურები ნამდვილად იძლევა გაანალიზებისა და წარმოჩენის შესაძლებლობას.

ჩვენი საკვალიფიკაციო ნაშრომის ძირითად მიზანად დავისახეთ საკვლევი საკითხის ირგვლივ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით ქართველ სიმბოლისტთა მინიატურული პროზის შესწავლის საკითხი, რომლის განვითარება ორგანულადაა დაკავშირებული როგორც ევროპულ მოდერნიზმთან, ასევე ქართულ მწერლობასთან.

ქართველ სიმბოლისტთა შემოქმედება მრავალმხრივ იქცევს ყურადღებას, ჩვენ შევეცადეთ ქართული სიმბოლიზმის განხილვას ევროპული მოდერნიზმის ჭრილში; ყურადღება გავამახვილეთ სალიტერატურო კრიტიკის დამოკიდებულებაზე ქართველ სიმბოლისტთა ნოვატორული ხელოვნების მიმართ. ნაშრომში ახალი კუთხით გავაშუქეთ მცირე პროზის განვითარების გზები, მისი მხატვრულ-ესთეტიკური და მსოფლმხედველობრივი პრინციპები, რომლის გენეზისი დაკავშირებულია არა მარტო ძველ ქართულ მწერლობასთან, არამედ ფოლკლორთან.

ნაშრომის კვლევის ობიექტი და მეთოდები: სადისერტაციო ნაშრომის შესრულების პროცესში გამოვიყენეთ კვლევის სხვადასხვა მეთოდები და მოდელები: ისტორიულ-შედარებითი და შეპირისპირებითი მეთოდების სინთეზი, მინიატურის ნარატოლოგიური ანალიზისა და დეკოდირების სტილისტიკის მეთოდები.

პრობლემის ადეკვატურად გადაწყვეტის მიზნით, თავი მოვუყარეთ საკვლევი მასალის ირგვლივ არსებულ ცოდნას, თეორიებსა და მეცნიერულ მემკვიდრეობას, რომელიც შევუსაბამეთ საკუთარ თვალსაზრისს. ვიმუშავეთ წყაროებზე, საარქივო მასალებზე, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დახმარებით მოვიძიეთ უახლესი მასალები მინიატურული ჟანრის შესახებ, მონოგრაფიული და თეორიული ხასიათის გამოკვლევები ლიტერატურული ჟანრების განვითარების შესახებ.

გავეცანით ევროპული სკოლის ფილოსოფოსთა ნააზრევს, მსოფლიო ლიტერატურის თეორიული საფუძვლების მამამთავარ ნიცშეს იდეებს, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ქართველი სიმბოლისტები. აგრეთვე, ევროპელ სიმბოლისტთა ლიტერატურულ-ესთეტიკურ პრინციპებს. შედარებისა და შეპირისპირების ხერხი დაგვეხმარა სიმბოლისტური მინიატურის ძირითადი მხატვრული თავისებურებების გამოვლენასა და განსაზღვრაში.

შედარება-შეპირისპირების მეთოდის საშუალებით ინტერკულტურულ და ინტერდისციპლინურ კონტექსტში წარმოვადგინეთ ქართველ სიმბოლისტთა მინიატურები; შევისწავლეთ სხვადასხვა ლიტერატურული მიმდინარეობების ფორმირებების ტენდენციები, რაც დაგვეხმარა მინიატურათა კონტექსტუალიზაციასა და ანალიზში. შეპირისპირების ხერხის საშუალებითა და დეკოდირების სტილისტიკის დახმარებით შევძელით მინიატურათა თავისებურებებისა და ძირითადი მახასიათებლების განსაზღვრა. ანალიზისა და სინთეზის მეთოდის მეშვეობით პოეტური მინიატურები განვიხილეთ ქართული ლიტერატურის კონტექსტში. ქართველ სიმბოლისტთა

მინიატურაზე დაკვირვებით შევიმუშავეთ დეკოდირების ცხრილი, ხოლო ჟანრული კოდების გათვალისწინებით გამოვავლინეთ მისი მხატვრული თუ სტილისტური თავისებურებანი.

დედუქციური და ინდუქციური მეთოდების გამოყენებით ახალი ცოდნის პროცესი ზოგადიდან კონკრეტულისკენ და კონკრეტულიდან ზოგადისკენ წარვმართეთ, რაშიც დაგვეხმარა ქართველ სიმბოლისტთა მრავალფეროვანი ცხოვრება და შემოქმედება.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლესა და თვითმყობადობას წარმოადგენს ქართველ სიმბოლისტთა მინიატურული პროზის შესწავლის საკითხი, სიმბოლისტთა თეორიული შეხედულებების დაკავშირება მინიატურასთან. ქართველ სიმბოლისტთა მინიატურებში მხატვრულ-ესთეტიკური და მსოფლმხედველობრივი პრინციპების გააზრება, ევროპეიზმისა და ქართული ფესვების ძიება მისი ანალიზი და სისტემატიზაცია.

საკვლევი თემის ირგვლივ თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში არსებულ ზოგად თეორიულ და მეთოდოლოგიურ შრომებზე დაყრდნობით, განვიხილეთ ქართველ სიმბოლისტთა მინიატურები. მიუხედავად იმისა, რომ სიმბოლისტურ სკოლაზე საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა არსებობს, წარმოდგენილი ნაშრომი ქართველ სიმბოლისტთა მინიატურის განხილვისა და შეფასების ერთ-ერთი პირველი ცდაა.

წარმოუდგენლად დიდია ქართველ სიმბოლისტთა წვლილი ქართული მწერლობის წინაშე. მეოცე საუკუნის საქართველოში „ცისფერყანწელობა“ იყო ერთადერთი მოვლენა, რომელმაც ეპოქა შექმნა, ქართული ხელოვნება გამოიყვანა ქაოსიდან და მისცა ის სიმაღლე, რომელიც მას დღემდე ღირსეულად უჭირავს.

სადისერტაციო ნაშრომის პრაქტიკული ღირებულებად მიგვაჩნია, ის რომ ნაშრომი შეიცავს საინტერესო მასალას ქართულ სიმბოლიზმსა და სიმბოლისტურ მინიატურაზე, მის მახასიათებლებსა და სახისმეტყველების საკითხებზე, რის გამოც ინტერესს გამოიწვევს ქართველ ლიტერატორთა ფართო წრეში და

სამსახურს გაუწევს მინიატურული ჟანრით დაინტერესებულ მკვლევრებს, ამ სფეროში მომუშავე მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებს.

ნაშრომის თეორიულ ღირებულებად მიგვაჩნია სიმბოლისტ მწერალთა მინიატურების კვლევა სხვადასხვა მიმართულებით. ამ მხრივ, ნაშრომი წარმოადგენს მოკრძალებულ, მაგრამ მაინც წინგადადგმულ ნაბიჯს ქართველ სიმბოლისტთა პოეტური მინიატურის შესწავლის საქმეში.

ნაშრომის სტრუქტურა: საკვალიფიკაციო ნაშრომი შესავლისა და დასკვნის გარდა, შედგება სამი თავისაგან, რომლებიც ჩაშლილია ქვეთავებად. იგი შეიცავს კომპიუტერულად ნაბეჭდ 139 გვერდს და ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი

მეოცე საუკუნის დასაწყისის ლიტერატურული პროცესები განსაზღვრა ქართულმა სიმბოლისტურმა სკოლამ, რომელიც ძირითადად წარმოდგენილი იყო „ცისფერყანწელებით“. ახალგაზრდა მწერლებმა ქართული მწერლობა ამოიყვანეს „საკუთარ წვენში დულილისა“ და „პოშლიაკობის“ ჭაობიდან და მისცეს ევროპული მასშტაბები.

ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს ქართველ სიმბოლისტთა მინიატურა, რომელიც ყურადღებას იქცევს თავისი მრავალფეროვნებით. მინიატურული პროზის შესწავლისას ყურადღება გავამახვილეთ სიმბოლისტ თეორეტიკოსთა ლიტერატურულ-ესთეტიკურ პრინციპებზე, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა, რაც მინიატურათა ახლებურად გააზრების საშუალებას იძლევა. ქართველ სიმბოლისტთა მინიატურის კვლევისას ყურადღება გავამახვილეთ და განვიხილეთ შემდეგი საკითხები:

- ქართული სიმბოლიზმი ევროპული მოდერნიზმის ჭრილში;
- ქართული სიმბოლიზმი და სალიტერატურო კრიტიკა;

- ქართველ სიმბოლისტთა მინიატურული პროზის ძირითადი მახასიათებლები;
- მინიატურათა სათაურების სახელდება და დეკოდირება;
- სიკვდილისა და სიმახინჯის აპოლოგია;
- ქართველ სიმბოლისტთა მინიატურის პოეტური სახისმეტყველება;
- სახე-სიმბოლოები მინიატურებში.

ჩვენს საკვალიფიკაციო ნაშრომში შევეცადეთ შეგვექმნა ფართო კულტურული ფონი და გამოგვევლინა მცირე პროზის წარმოშობის კანონზომიერებანი. ქართველ სიმბოლისტთა შემოქმედებას ახასიათებს სუბიექტური განცდების გადმოცემა, სწრაფვა ირეალური, გონებისმიდმიური სამყაროს შეცნობისკენ, სიტყვისა და მუსიკის კულტი, სილამაზის არსის არატრადიციული გაგება, სიკვდილისა და სიმახინჯის აპოლოგია, ბოჰემური ცხოვრების განდიდება და სხვა.

ქართული სიმბოლისტური მინიატურის „ექსპერიმენტატორის“, სანდრო ცირეკიძის შემოქმედების, წარმოდგენელია სიმბოლისტური სკოლის სრულფასოვანი აღქმა და მცირე პროზის განვითარების კანონზომიერებათა კვლევა. მან თავისი შემოქმედებითა და თეორიული ნააზრევით დახვეწა და გაამდიდრა ქართული სიმბოლისტური მინიატურა.

საკვალიფიკაციო თემის შესავალში წარმოდგენილია საკვლევი თემის ძირითადი მიზანი და საკითხის შესწავლის მდგომარეობა, ქართველ სიმბოლისტთა მინიატურის კვლევა სხვადასხვა ასპექტში, მისი ძირითადი მახასიათებლების კვლევა. აგრეთვე, საუბარია ნაშრომის აქტუალურობასა და პრაქტიკულ ღირებულებაზე, მის მეცნიერული სიახლესა და ამ პრობლემის კვლევის მდგომარეობაზე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში.

თავი I

ქართული სიმბოლიზმი ევროპული მოდერნიზმის ჭრილში

როგორც აღვნიშნეთ, ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ნაკლებადაა შესწავლილი მინიატურა, ხოლო სიმბოლისტური მინიატურის შესახებ განზოგადებული ხასიათის ნაშრომი არ

გვაქვს თუ არ ჩავთვლით ცალკეულ სტატიებსა და პუბლიკაციებს სიმბოლისტიკაზე. აქტუალურად მივიჩნით ნაშრომის პირველ თავში ვრცელად განგვებილა ქართული სიმბოლიზმი ევროპული მოდერნიზმის ჭრილში.

ყურადღება გავამახვილეთ ევროპაში წარმოშობილი ლიტერატურული მიმდინარეობის შესახებ, რომელმაც გამოძახილი ჰპოვა ქართულ სალიტერატურო სივრცეებში. ევროპულმა მოდერნიზმმა არსებითად განსაზღვრა მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურული აზროვნების თვისებრივი ბუნება და ხასიათი, რამაც ხელი შეუწყო ჩვენი ლიტერატურის „ევროპეიზაციას“. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული სიმბოლიზმი მყარად იდგა ეროვნულ ნიადაგზე, მასში ერთმანეთს შეერწყა როგორც ეროვნული ლიტერატურის ტრადიციები, ასევე, ევროპული მოდერნიზმის სიახლეები.

მოდერნიზმი თითქმის ასწლოვან ისტორიას მოიცავს. უმთავრესი, რაც დამახასიათებელი იყო ამ ეპოქისთვის, ეს იყო გამაოგნებელი მეცნიერული აღმოჩენების, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, გრანდიოზული პროექტებისა და ექსპერიმენტების, სხვადასხვა იდეოლოგიების შეჯახებისა და მსოფლიო ომების ეპოქა. სწორედ ამ მოვლენებმა განაპირობა კლასიკური ხელოვნების კანონების რღვევა და ახალი მიმდინარეობების გაჩენა ხელოვნებაში.

მოდერნიზმი, როგორც კულტურული ეპოქა, მოიცავს მრავალ ურთიერთგამომრიცხავ მიმართულებასა და სკოლას, რომლებიც ერთმანეთის მიმართ ხშირად მტრული დამოკიდებულებით გამოირჩეოდნენ. შესაბამისად, მოდერნიზმი ლიტერატურული მიმდინარეობების ერთგვარი კრებითი სახელია - სიმბოლისტიკის, იმპრესიონისტიკის, ექსპრესიონისტიკის, ფუტურისტიკის, სიურრეალისტიკისა და სხვათა.

ქართველმა მოდერნისტებმა წინა პლანზე წამოსწიეს სუბიექტური განცდები, სწრაფვა ირეალური, გონებისმილმიური სამყაროს შეცნობისკენ, სიტყვისა და მუსიკის კულტი, სილამაზის არსის არატრადიციული გაგება, ბოჰემური ცხოვრების განდიდება და სხვა, რაც გამოვლინდა: გალაკტიონ ტაბიძის, კონსტანტინე

გამსახურდიას, ნიკო ლორთქიფანიძის, შიო არაგვისპირელის, გრიგოლ რობაქიძის, ლეო ქიაჩელის, დემნა შენგელიას, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, სანდრო ცირეკიძის, სერგო კლდიაშვილის, ჯაჯუ ჯორჯიკიას, რაჟდენ გვეტაძის, შალვა კარმელის, ნიკოლო მიწიშვილის, მიხეილ ბოჭორიშვილის, დია ჩიანელის და სხათა შემოქმედებაში.

სიმბოლიზმა მრავალი მნიშვნელოვანი სიახლე შემოიტანა და დაამკვიდრა ეროვნულ ნიადაგზე. ტიციან ტაბიძე წერდა: „აშკარაა წინა აზიაში ევროპა შემოაღებს კარებს და ამ დროს ჩვენ უნდა დავხვდეთ შეჭურვილი ეროვნული შემეცნებით, ეროვნული კულტურის ყველა ფოლაქებშეკრული“ (ტაბიძე, 1986, 180).

ქართული სალიტერატურო კრიტიკა არაერთგვაროვნად შეხვდა ახალგაზრდა სიმბოლისტების გამოჩენას სამწერლობო ასპარეზზე. რობაქიძემ სათანადო პასუხი გასცა არაკეთილმოსურნეებს და დაიცვა ახალგაზრდები საზოგადოების რისხვისაგან, რომლებიც მტრულად შეხვდნენ ევროპული მოდერნიზმის სიახლეების შემოტანას და ქართული მწერლობის რეფორმაციას. მათ მხარს უჭერდნენ უფროსი თაობის კრიტიკოსები: არჩილ ჯორჯაძე და კიტა აბაშიძე.

ქართულმა სიმბოლიზმმა ფაქტობრივად განსაზღვრა ლიტერატურული აზროვნების თვისებრივი ხასიათი და ბუნება (ხელოვანმა უნდა შვას გულით და არა გონებით). მიზნად დაისახა ორი სამყაროს, მატერიალურისა და იდეალურის გაერთიანება სიმბოლოთა საშუალებით, სიმბოლო ერთგვარი პირობითი ნიშანია, რომელიც ამ ორ სამყაროს აერთიანებს. სიმბოლისტებთან ნებისმიერ სიმბოლოს ორი მხარე აქვს - რეალური და ირეალური. ქართველ სიმბოლისტთა შემოქმედების საიდუმლოს გასაღები მათსავე თეორიულ წერილებსა და ბიოგრაფიებში უნდა ვეძიოთ.

მეცნიერთა მხრიდან ქართული სიმბოლიზმი კვლავ საჭიროებს ახლებურ შეფასებასა და შესწავლას. თუ რა როლი ჰქონდა ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში „ცისფერყანწელთა“ სიმბოლისტურ დაჯგუფებას, მათ მსოფლმედველობას, რომელმაც ძირეული გარდატეხა შეიტანა

„გალატაკებული ქართული სიტყვის“ აღორძინების საქმეში და „ევროპული რადიუსით“ გამართა. დღესდღეობით, ქართველი სიმბოლისტები ჯეროვნად ვერ სარგებლობენ საზოგადოების მხრიდან ისეთი მხარდაჭერით, როგორც მათი ეპიგონები.

§ 1.1 ქართული სიმბოლიზმი და სალიტერატურო კრიტიკა

ქართული სიმბოლისტური სკოლა წარმმართველი ძალა აღმოჩნდა მწერლობაში. მათ შემოქმედებაში აისახა ევროპული მოდერნისტული სკოლის ძირითადი პრინციპები, რომელიც თავდაპირველად გამოვლინდა შარლ ბოდლერის, პოლ ვერლენის, არტურ რემბოს, ლოტრეამონისა და სტეფან მალარმეს შემოქმედებაში.

ქართველი სიმბოლისტები ეროვნულ მწერლობას პოეტური ესთეტიკის ნოვატორებად მოევიწყნენ და ცამეტი ასურელი მამის მსგავსად, რომლებმაც „დასთესეს ორთოდოქსი ქრისტიანობა“, იღვაწეს და იქადაგეს ჭეშმარიტი ხელოვნება. მათ შემოქმედებას უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კულტურის აღორძინებისა და განვითარების საქმეში. მათ გარდა „ვერავინ შეება ქართული სიტყვის უღელს ისე, რომ გადაეცილებინა იგი სამშობლოს საზღვრებს, და მიეთრია რომელიმე ევროპის ქალაქის მოედნამდე“ (იაშვილი, 2002, 239).

სიმბოლისტური სკოლის სულისჩამდგმელი და გეზის მიმცემი იყო გრიგოლ რობაქიძე, მისმა ლექციებმა და ნოვატორულმა იდეებმა განსაზღვრა ქართული სიმბოლისტური სკოლის მიმართულება. გრიგოლ რობაქიძე აკონტროლებდა ჯგუფს და ახალგაზრდებს სწორ რჩევას აძლევდა. მნიშვნელოვანია მისი თეორიული წერილი „დაბრუნება მიწასთან, როგორც კერძო ბარათი“, რომელშიც გრიგოლ რობაქიძემ კარგად ჩამოაყალიბა ახალგაზრდა მწერალთა როლი და ადგილი სიმბოლიზმის შემდგომი განვითარების საქმეში.

ქართველი სიმბოლისტები მყარად იდგნენ ეროვნულ ნიადაგზე, ისინი სიტყვის მცველ რაინდებად მოევიწყნენ ქართულ მწერლობას და ბოჰემურ ცხოვრებასთან ერთად მეგობრობა და

სიყვარული გააღმერთეს. „ცისფერმა ორდენმა“ გამორჩეული ეროვნული ნიშანი შესძინა ქართულ მწერლობას.

ლიტერატურული სკოლებისგან განსხვავებით ქართულ სიმბოლისტურ სკოლას ჰქონდა თავისი სამოქმედო პროგრამა და მანიფესტი, სადაც პაოლო იაშვილმა და ტიცვიან ტაბიძემ თეორიულად ჩამოაყალიბეს სამყაროსადმი თავიანთი სიმბოლისტური მიდგომა და ლიტერატურული კრედო. ისინი მიზნად ისახავდნენ ქართული პოეტური სიტყვის აღორძინებასა და განახლებას, რაც ქართველი ერის გაერთიანების საწინდარი უნდა გამხდარიყო. სიმბოლისტებს ჭაბუკური გზებით სურდათ: „აქედან დაიწყო ქართველი ერი“, დავიწყებული, მაგრამ „დიდების ღირსი“ და თავიანთი მრავალფეროვანი შემოქმედებით გაეოცებინათ ქვეყნიერება.

ცისფერი ორდენის ორგანიზატორის, პაოლო იაშვილის ხმაურიანმა „პირველთქმამ“ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში: „ვცოცხლობთ სიმთვრალეში და გვწამს ყოველგვარი ორგია... ვადიდებთ დამსხვრევის შვენიერებას... უარვყოფთ წარსულს“ (იაშვილი, 2002, 234). ახალგაზრდა პოეტების ასეთმა სითამამემ და გაბედულმა განცხადებებმა საზოგადოების რისხვა გამოიწვია. ქართულ პრესაში ძირითადად მათი გასაკიცხი წერილები იბეჭდებოდა, რამაც უფრო გაამძაფრა საზოგადოების მტრული დამოკიდებულება ნოვატორი მწერლებისადმი.

„ცისფერყანწელთა“ კრიტიკას არც გაზეთი „ახალი კვალის“ რედაქცია ჩამორჩა, 1916 წლის 13 ივნისის ნომერში დაბეჭდილი წერილში „უდროობის გმირები“ მკაცრად იყო გაკრიტიკებული ქართველ სიმბოლისტთა შემოქმედება და მათი თეორიული შეხედულებები. კრიტიკოსებმა: აკაკი პაპავამ, ბესარიონ ჟღენტმა, ვარლამ ხუროძემ და სხვებმა უარყოფითად შეაფასეს ქართული სიმბოლისტური სკოლის გამოსვლა სამწერლობო ასპარეზზე.

მიუხედავად კრიტიკისა, „ცისფერყანწელებმა“ საზოგადოების გარკვეული ნაწილის მხარდაჭერა მოიპოვეს. მათ რიცხვში აღმოჩნდნენ კრიტიკოსები არჩილ ჯორჯაძე და კიტა აბაშიძე, ხოლო პავლე ინგოროყვა სიცოცხლის ბოლომდე

ამაყობდა „ცისფერყანწელებთან“ მეგობრობით. პროგრესზე ორიენტირებულმა სიმბოლისტებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს ქართული სიტყვიერების განახლების საქმეში. მიუხედავად სალიტერატურო კრიტიკის უარყოფითი დამოკიდებულებისა, მათი „დაუძინებელმა მტრებმა“ კი აღიარებდნენ, რომ „ცისფერყანწელებს“ თითქმის ათი წლის განმავლობაში ხელთ ეპყრათ ჰეგემონობა ქართულ მწერლობაში, ისინი განსაზღვრავდნენ ქართული ლიტერატურის ბედს.

ქართველ სიმბოლისტთა შემოქმედებას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. უნდა აღინიშნოს, რომ „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურულ-ესთეტიკური პრინციპები კვლავაც ინარჩუნებს აქტუალურობას, რომელთა მეგობრობასა და რაინდობაზე ლეგენდები დადის.

II თავი

ქართველ სიმბოლისტთა მინიატურული პროზის ძირითადი მახასიათებლები

ნაშრომის ამ თავში ვრცლად ვისაუბრეთ მინიატურის შესახებ. მნიშვნელოვანი ადგილი დავუთმეთ ქართველ სიმბოლისტთა მცირე პროზას და განვიხილეთ ქართველ სიმბოლისტთა მინიატურული პროზის ძირითადი მახასიათებლები. შევისწავლეთ სიმბოლისტთა ესეისტიკა, მასში წარმოდგენილი თეორიული წერილები დღესაც მნიშვნელოვანია.

ქართველ სიმბოლისტებთან ფართო ადგილი დაიმკვიდრა ფილოსოფიურმა და ფსიქოლოგიურმა მინიატურებმა, თუმცა გვხვდება სხვა სახის მინიატურებიც, რომელთა ძირითადი მახასიათებლების გათვალისწინება მიზანშეწონილად მიგვაჩნია. ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი დავუთმეთ ქართველ სიმბოლისტთა ესეისტიკის კვლევას, მათი თეორიული ნააზრევის შესწავლის საკითხს. ესეისტიკა სპეციფიკური ჟანრის საიდუმლოს გასაღებია, რომელიც ეფექტურად ხსნის სიმბოლისტური მინიატურის არსს და აადვილებს კვლევას.

ქართული სიმბოლისტური მინიატურა დაკავშირებულია როგორც ძველ მწერლობასთან, ასევე გაჯერებულია

„ევროპეიზაციის“ სიახლეებითაც - ძველისა და ახლის შერწყმით, სიმბოლისტებმა შექმნეს ერთგვარი პოეტური მითოლოგია და ამ მითოლოგიაში გააერთიანეს მთელი სამყარო. სიმბოლისტური ესთეტიკით შექმნილი ნაწარმოებებით ისინი ეზიარნენ ხელოვნების მიუწვდომელ და ღვთაებრივ არსს.

სიმბოლისტთა მინიატურისთვის დამახასიათებელია ლაკონიურობა, რიტმულობა და რითმულობა, ასონანსისა და დისონანსის მონაცვლეობა. სიმბოლისტები ლექსისაგან სესხულობდნენ პოეტური მეტყველებისთვის დამახასიათებელ ლაკონიურ ენერგიასა და რიტმულობას, ხშირად ძნელდება ვერლიბრისა და მინიატურის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. ისევე, როგორც მალარმემ, სანდრო ცირეკიძემაც არია ამ ჟანრის საზღვრები და საკმაოდ საინტერესო თეორიული მოსაზრებები დაგვიტოვა მინიატურის რიტმულობის შესახებ.

ჩვენს საკვალიფიკაციო ნაშრომში განვიხილეთ მინიატურული პროზის ძირითადი მახასიათებლები, რომელიც განსაზღვრავს ქართველ სიმბოლისტთა შემოქმედების ორიგინალობას, ესენია: მესიანისტური იდეები, ირაციონალური სამყაროს წვდომა, ბოჰემა, სპლინი, სათაურების სახელდების საკითხი და დეკოდირების სტილისტიკა, სიკვდილისა და სიმახინჯის აპოლოგია და სხვა.

სიმბოლისტურ მინიატურებში ერთგვარად გაერთიანდა მეცნიერების, რელიგიისა და ფილოსოფიის მიღწევები, სადაც სიმბოლო საშუალებაა პოეტურ ხილვათა და წარმოსახვათა უცნაურობის, ადამიანის შინაგანი სამყაროს ჭვრეტის, მიღმური სამყაროს, რელიგიური ასპექტების, საგანთა და მოვლენათა ნოუმენების ახსნისა და ძიებისა.

§ 2.1. სათაურების სახელდება ქართველ სიმბოლისტთა მინიატურაში

მინიატურათა კვლევისას სათაურების სახელდების საკითხი შესაძლოა მივიჩნიოთ ქართველ სიმბოლისტთა შემოქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებად. ამ საკითხზე საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს პროზაიკოსი სანდრო

ცირეკიძე ესეში –„სათაური პოეზიაში“. მწერალი ყურადღებას ამახვილებს სათაურების სახელდების საკითხზე და გარკვეულ მხატვრულ-ესთეტიკურ პრინციპებს აყალიბებს. მწერალი არა მარტო სათაურს ანიჭებს დიდ მნიშვნელობას, არამედ ცალკეულ სიტყვებს, სასვენ ნიშნებსაც კი. მინიატურათა სათაურების სახელდებით, სიმბოლისტები ქართულ მწერლობაში ამკვიდრებდნენ ნოვატორულ იდეებს, თუმცა ზოგჯერ უკიდურესობამდეც კი მიდიოდნენ.

მინიატურის მთავარი სათქმელის გადმოცემის განმსაზღვრელად სანდრო ცირეკიძემ სათაური მიიჩნია, რომელიც გულისხმობს ტექსტის გაგების პროცესს, სწორედ ეს ფუნქცია აკისრია სათაურს. სათაურის გააზრებასთან ერთად მნიშვნელოვანად მიგვაჩნია ტექსტის დეკოდირება, რადგანაც მხატვრული ტექსტი აზრთა უსასრულო სიღრმეს მოიცავს.

სათაურების სახელდების საკითხთან დაკავშირებით საინტერესო თვალსაზრისი აქვს გამოთქმული მიხეილ ზანდუკელს, რომელიც მწერლის მხატვრულ სამყაროში შესაღწევ გზამკვლევად სათაურებს მიიჩნევს. კრიტიკოსი ნაწარმოების დასათაურების სხვადასხვა ტიპებს გამოყოფს: 1. თემატური ხასიათის სათაური; 2. გადატანითი მნიშვნელობის მქონე სათაური; 3. გაურკვეველი ხასიათის მქონე სათაური.

ქართველ სიმბოლისტთა მინიატურის სათაურები მივაკუთვნეთ მეორე ტიპის სათაურებს, რომელსაც ორმაგი დატვირთვა აქვს (ფსიქოლოგიური და იდეური), როგორც გამოსახვის საშუალებათა, ასევე ჟანრული კოდის თვალსაზრისით. სათაურების პოლისემიურობა გავაერთიანეთ დეკოდირების სტილისტიკაში, რამაც საშუალება მოგვცა ჩავწვდომოდით მინიატურათა პრობლემატიკას, რაც ჩვენი ნაშრომის ერთ-ერთ მეცნიერულ სიახლედ მიგვაჩნია.

§ 2.2. სიკვდილისა და სიმახინჯის აპოლოგია ქართველ სიმბოლისტთა მინიატურებში

ქართველ სიმბოლისტთა მინიატურის ძირითად მახასიათებლად მიგვაჩნია სიკვდილისა და სიმახინჯის

აპოლოგია. სიკვდილის ფენომენი სიმბოლისტური ხელოვნების ამოსავალი პრინციპია. ქართველმა სიმბოლისტებმა ერთ-ერთმა პირველებმა მიმართეს სიკვდილისა და სიმახინჯის ესთეტიზაციას. მათ შემოქმედებაში ორიგინალური ასპექტითაა წარმოდგენილი სიკვდილის ფენომენი, როგორც წმინდა მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალება.

ქრისტიანულმა რელიგიამ შექმნა ადამიანის სულის განწმენდის მრავალსაფეხურიანი მოდელი, რომელსაც კარგად ეხმიანება გერონტი ქიქოძის სიტყვები: „სიკვდილი უფრო ადვილია იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც უკვდავების სწამთ.. ადამიანი ყოველთვის მისტიკურ შიშს განიცდის სიკვდილისადმი, თუმცა, ქართველმა სიმბოლისტებმა დაძლიეს ეს შიში და შეძლეს თავიანთ შემოქმედებაში სიკვდილის პოეტიზირება“ (ქიქოძე, 1998, 15).

III თავი

ქართველ სიმბოლისტთა მინიატურის პოეტური სახისმეტყველება

ქართველ სიმბოლისტთა პოეტური მინიატურის კვლევისას მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მინიატურათა სახისმეტყველების შესწავლა, რადგან სწორედ სიმბოლიზმის ესთეტიკის მთავარი კატეგორია სახე-სიმბოლოა. სიმბოლისტური მინიატურისთვის დამახასიათებელია სახეებით აზროვნება, სადაც სიმბოლური შეიძლება იყოს როგორც ერთი სიტყვა, ასევე სიტყვათა რიგი, წინადადება ან მთელი ნაწარმოები. მინიატურაში სიმბოლო განასახიერებს განყენებულ ზოგად იდეას და უფრო ღრმა დატვირთვა გააჩნია.

ქართველი სიმბოლისტების პოეტური მინიატურების შესწავლისას მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ალუზიების, რემინისცენციებისა და სხვადასხვა ტიპის ალეგორიული მინიშნებების ზედმიწევნით ახსნა-განმარტება, რომლებიც მხატვრული კონტექსტის სააზროვნო ველს ქმნიან. ყოველი მხატვრული სახე ერთგვარი კოდია, რომლის გაშიფვრა უპირველესად ინტელექტუალურ ძალისხმევას საჭიროებს. ამგვარ

დაშიფრულ ხელოვნებას ქმნიდნენ „ცისფერყანწელები“, რომელთა შემოქმედების კვლევისას წარმოჩინდა თუ როგორ ხორციელდება მხატვრულ ტექსტში ინტერკულტურული ურთიერთობი, როგორ მთლიანდება სამყაროში სიტყვის ძალა და როგორ შლის ფრთებს სიმბოლისტ მწერალთა შემოქმედებითი წარმოსახვა.

§ 3.1. სახე-სიმბოლოები ქართველ სიმბოლისტთა მინიატურებში

ქართველ სიმბოლისტთა მინიატურების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი სახეებით აზროვნებაა, რომელიც სიმბოლიზმმა მხატვრული წარმოსახვის მიზნად გამოაცხადა, რითაც უარყო სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით გამოყენება. სიმბოლისტებთან ხილული ქვეყანა უხილავი იდეების უხეში ანარეკლია, ხოლო მიღმიური - ოცნების, მშვენიერების საიდუმლო, რომელთანაც დაახლოება მხოლოდ სიმბოლოს საშუალებით ხერხდება. ქართველი სიმბოლისტები სიმბოლოების საშუალებით სწვდებოდნენ იდეალური სამყაროს არსს. მათთვის სიმბოლო ის ხიდი იყო, რომლის დახმარებით პოეტს შეეძლო რეალობიდან ირეალურ სამყაროში გასვლა. სიმბოლო მათთვის მისტიკური სამყაროს გასაღები და სარკმელია უხილავი სინამდვილის დასანახად.

სიმბოლისტთა აზრით, დუმილი ზოგჯერ უდიდესი ჭეშმარიტებაა, რადგან ხანდახან დადუმებით უფრო მეტისა და მნიშვნელოვანის მინიშნებაა შესაძლებელი, ვიდრე ენაწყლიანი, მოსწრებული, საუბრით. სულის ამგვარი უკიდურესი გაფაქიზების მაგალითია სიმბოლისტთა შემოქმედება, რომელთა მინიატურები ტიპური გამოვლინებაა იმ ესთეტიკის, რომლის მიხედვითაც ყველაზე მეტად საგანთან „ფრთხილი“ მიახლება და შეხება ფასდება.

ქართველ სიმბოლისტთა მინიატურების პოეტური სახისმეტყველების კვლევისას ძირითადად ვხელმძღვანელობდით მათი თეორიული წერილებით, სადაც სიმბოლისტური ესთეტიკის არსი კარგადაა ჩამოყალიბებული.

პოეტური სიტყვის განახლების, ესთეტიკური იდეალის დახვეწის მიზნით მოსულ სიმბოლისტთა თაობის სულისკვეთებაა გამოხატული მათსავე შემოქმედებაში, განსაკუთრებით კი მინიატურებში, სადაც შეინიშნება ბანალობისა და შაბლონისგან თავის დაღწევის გზად ახალი ფორმების ძიება და უჩვეულოსა და იდუმალისკენ სწრაფვის სურვილი.

ჩვენს საკვლიფიკაციო ნაშრომში განხილულია ქართველ სიმბოლისტთა მინიატურების პოეტური სახისმეტყველების შემდეგი საკითხები: საკუთარი ავტობიოგრაფიების გაზღაპრება, მეგობრების ახალი მითები და მისტიფიკაციები, ევროპულ სიმბოლისტთა მითები; მზის, მთვარის, ზღვის პოეტური მისტიფიკაციები და სხვა.

დასკვნა

მინიატურული პროზის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით ქართველ სიმბოლისტებს, რომლებიც „ცისფერყანწელების“ სახელით იყვნენ წარმოდგენილნი. ქართული სულიერების მოდერნისტებმა ევროპის კარი გაუღეს ქართულ ხელოვნებას და შექმნეს მრავალმხრივი და მრავალფეროვანი შემოქმედება, რომელმაც სრულიად სხვა სიმაღლე და მასშტაბები შესძინა ქართულ მწერლობას. ამ კეთილშობილურ საქმეში მათი წინამძღოლი ევროპაში განსწავლული გრიგოლ რობაქიძე გახლდათ, რომელმაც ლიტერატურის საფუძვლების მამად აღიარებულ ნიცშეს იდეებს აზიარა ქართველი ჭაბუკები.

ევროპული მოდერნიზმის სიახლეები გამოვლინდა ისეთ ლიტერატურულ მიმდინარეობებში როგორებიცაა: სიმბოლიზმი, იმპრესიონიზმი, ექსპრესიონიზმი, ფუტურიზმი. მოდერნიზმისთვის დამახასიათებელია სინამდვილის სუბიექტური აღქმა-წარმოსახვა, სწრაფვა ირეალური სამყაროს შეცნობისკენ, სიტყვისა და მუსიკის კულტი, სილამაზის არსის არატრადიციული გაგება, ბოჰემური ცხოვრების განდიდება, რამაც ასახვა ჰპოვა ქართველ სიმბოლისტთა შემოქმედებაში.

სიმბოლისტიკმა ორიგინალურად განავითარეს და ქართულ ნიადაგზე დაამკვიდრეს ლიტერატურული ფორმები: მინიატურა, ესე, ეტიუდი, ვერლიბრი, სონეტი, ტრიოლეტი, ტრიფტიქი, რონდო, ეკლოგა, სექსტინა და სხვა პოეტური ფორმები. ისინი სათქმელის გამოხატვის ფორმად ხშირად იყენებდნენ პოეტურ პროზასა და ლექსს პროზად. მათ შექმნეს სრულიად ახალი, თანამედროვე ხელოვნება და მინიატურის განვითარება სულ სხვა საფეხურზე აიყვანეს.

ქართველმა სიმბოლისტიკმა თავიანთი შემოქმედებით შექმნეს მთელი ეპოქა და ქართულ მწერლობაში მოიტანეს ახალი ცნობიერება ქართული კოლორიტით, ახალი რიტმიკითა და პოეტიკით, გაამდიდრეს მრავალფეროვანი, იდუმალი და ინტელექტუალური შემოქმედებით, რომელიც გართულებული სინტაქსითა და რთული სახეებით ადვილად აღსაქმელი არ იყო.

ქართველ სიმბოლისტთა შემოქმედებაში ასახვა ჰპოვა ევროპული მოდერნიზმის ძირითადმა პრინციპებმა, რომლებიც პირველად ფრანგი სიმბოლისტების - შარლ ბოდლერის, პოლ ვერლენის, არტურ რემბოს, სტეფან მალარმესა და ლოტრეამონის შემოქმედებაში გამოვლინდა, რაც განსაკუთრებით ახლობელი აღმოჩნდა ქართველ მწერალთა ლიტერატურული ჯგუფისთვის.

ქართველ სიმბოლისტთა შემოქმედება არ ყოფილა ევროპული სიმბოლიზმის ბრმად მიბაძვა. სიმბოლისტთა მინიატურებში ეროვნულ მოტივებთან ერთად წარმოდგენილია დასავლური სიმბოლიზმისთვის დამახასიათებელი მოტივებიც. ევროპული მოდერნისტული სკოლის იდეურ-ესთეტიკურმა პრინციპებმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ქართველი მწერლების - პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, სანდრო ცირეკიძის, სერგო კლდიაშვილის, ჯაჯუ ჯორჯიკიას, დია ჩიანელის, ნიკოლო მიწიშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილისა და სხვათა შემოქმედებაზე, რომლებიც დასავლური კულტურის მედროშეებად მოევლინენ ქართულ მწერლობას და დაამკვიდრეს ახალი ლიტერატურულ-ესთეტიკური იდეალები.

პოეტური მინიატურის განვითარებას ხელი შეუწყო ქართულმა სიმბოლისტიკურმა სკოლამ, რომლის გამოჩენას

სამწერლობო ასპარეზზე მაშინვე გამოეხმაურა საზოგადოება და სალიტერატურო კრიტიკა. ქართულმა სიმბოლისტურმა სკოლამ კრიტიკასთან ერთად საზოგადოების გარკვეული ნაწილის მხარდაჭერაც მოიპოვა. არჩილ ჯორჯაძე და კიტა აბაშიძე მხარს უჭერდნენ სიახლეების შემოტანას ქართულ მწერლობაში და ობიექტურად აფასებდნენ ახალგაზრდა სიმბოლისტთა მოღვაწეობას.

სანდრო ცირეკიძემ მინიატურისა და მინიატურული ჟანრის შესახებ მეტად საგულისხმო თვალსაზრისი ჩამოაყალიბა მცირე ესეში „მინიატურა“, რომელსაც დღესაც კი არა მოეძებნება ანალოგი, რითაც მწერალმა ნათელი მოჰფენა სიმბოლისტურ მინიატურასთან დაკავშირებულ ბევრ ბუნდოვან საკითხს. სანდრო ცირეკიძის ამ მცირე ესეში გადმოცემული შეხედულებები მეტად მნიშვნელოვანია, რამდენადაც მწერალმა გარკვეულად ჩამოაყალიბა მინიატურის მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპები და სცადა მისი გამიჯნვა სხვა მცირე პროზაული ჟანრებისგან.

ქართველ სიმბოლისტთა მინიატურები გამოირჩევა ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური სიღრმით. ახასიათებს მოვლენათა ზღაპრული წარმოსახვა, სილამაზის არსის არატრადიციული გაგება, რელიგიური თემატიკა, სიკვდილისა და სიმახინჯის აპოლოგია, ბოჰემური ცხოვრების კულტი, საკუთარი ავტობიოგრაფიების გაზღაპრება, განსაცვიფრებელი ლაკონიზმი, სკეფსისის, წარმავლობისა და მარტოობის მოტივები. ქართველ სიმბოლისტთა მინიატურა აგებულია რიტმულობისა და ბგერათა ჰარმონიის პრინციპზე, ალიტერაციასა და ასონანსთან ერთად მას ახასიათებს დისონანსი, თხრობა ლაკონიური და დინამიურია, კომპოზიციისა და სიუჟეტი კი ხშირად არსებითად ემთხვევა ერთმანეთს.

მინიატურათა სათაურების სახელდება შესაძლოა ქართველ სიმბოლისტთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებად მივიჩნიოთ. ამ საკითხის შესახებ საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს სანდრო ცირეკიძე, რომელიც არა მარტო სათაურს ანიჭებს დიდ მნიშვნელობას, არამედ ცალკეულ სიტყვას, სასვენ

ნიშანსაც კი. სიმბოლისტური ესთეტიკიდან გამომდინარე, პროზაული მინიატურის სათაური მიზნად ისახავს იდუმალი სფეროების წვდომას და სიმბოლური დატვირთვა გააჩნია. სათაური მართლაც ძირითადი და განუყოფელი ნაწილია ტექსტისა. იგი დაკავშირებულია მის იდეურს და მოტივურ მხარესთან.

სათაური ჯერ კიდევ კითხვის დაწყებამდე წარმოაჩენს მინიატურის მიზანდასახულობას და ავტორის ჩანაფიქრისამებრ წარმართავს კითხვის პროცესს. სათაური არ შეიძლება წვრილმანად მივიჩნიოთ, რადგან იგი მხატვრული ნაწარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. ტექსტის აღქმის სისწორედ სწორედ სათაურის საშუალებითაა შესაძლებელი.

სათაურისადმი გადამეტებული და გამორჩეული დამოკიდებულება, – თხზულების მარტო სათაურამდე დაყვანა, შესაძლოა სიმბოლისტური ესთეტიკის პრინციპებით აიხსნას, რადგანაც სიმბოლისტები მინიატურების დასათაურებისას გაურბოდნენ ჩვეულებრივ, ტრადიციულ ფორმებს და ცდილობდნენ, მეტი არაორდინალურობა და ექსცენტრულობა მიენიჭებინათ მისთვის. ქართველ სიმბოლისტთა მინიატურის სათაურები გადატანითი მნიშვნელობის მქონე სათაურებს უნდა მივაკუთვნოთ, მიხეილ ზანდუკელის თეორიის მიხედვით. მინიატურათა სათაურების სახელდებით სიმბოლისტი მწერლები ცდილობდნენ გამოეხატათ იდეურ-თემატური და მხატვრული მოტივები, რითაც ქართულ მწერლობაში ამკვიდრებდნენ ევროპული სიმბოლიზმისთვის დამახასიათებელ ესთეტიკურ პრინციპებსა და ნოვატორულ იდეებს.

ქართველ სიმბოლისტთა მინიატურის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი სიკვდილისა და სიმახინჯის აპოლოგიაა. სიმბოლისტმა მწერლებმა ამ ამოუცნობ ფენომენს ორიგინალური გააზრება მისცეს თავიანთ მინიატურებში. სიკვდილის პოეტიზირებასთან ერთად ქართველ სიმბოლისტთა მინიატურისთვის დამახასიათებელია სიმახინჯისა და საშინელების აპოლოგია, რომელიც თავდაპირველად ტიციან ტაბიძემ გადმოსცა მალდარორის სახით. მალდარორი ისეთივე

სახე-სიმბოლოა ლიტერატურის ისტორიაში, როგორცაა გოეთეს მეფისტოფელი - დაცემული ანგელოზი. იგი მარადიული არგუმენტია იმ საზღვრისა, რომელიც არსებობს სიკეთესა და ბოროტებას შორის.

ქართველმა სიმბოლისტებმა პირველებმა მიმართეს სიკვდილისა და სიმახინჯის ესთეტიზაციას, როგორც წმინდა მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებას. მისტიკის ელფერი დაჰკრავს მათ მინიატურებში სიკვდილისა და სიმახინჯის ამგვარ „გაკეთილშობილებას“ და თვითმკვლელობის პოეტიზირებას.

ქართველმა სიმბოლისტებმა შექმნეს იდუმალების ესთეტიკა, ახალი პოეტური მითებისა და მისტიფიკაციების საშუალებით კიდველი გადაახალისეს. სიმბოლური დატვირთვის მატარებელი იყო ცისფერი ყანწებიცა და წითელი მიხაკიც, ნიღბების მორგება და პოზიორობა, გვარების ჰერალდიკა, ავტოპორტრეტები, სახელების მისტიფიკაცია და სხვა, რომლებსაც ქმნიდნენ ქართველი სიმბოლისტები თავიანთ შემოქმედებაში: კოლაუ ნადირაძემ შექმნა პოეტი - მანეკენის მითი, სანდრო ცირეკიძემ იდეალური პოეტის მითი, ნიკოლო მიწიშვილმა - ჩიბის, რობაქიძემ - ვასაკა, ალკა, ტიციან ტაბიძემ - პიერო, კოლომბინა, ორპირის ოქროპირი, პაოლო იაშვილმა - ფარშევანგები და ელენე დარიანი, ვალერიან გაფრინდაშვილმა - ორეულები, მირაჟები, მოჩვენებები, სიზმრები, ცეცხლიანი სარკეები, ოფელიები, დაისები, თავისმკვლელები და სხვა.

ადამიანური ურთიერთობების გაიდეალება, ერთმანეთის მისტიფიკაციების შექმნა, კიდევ ერთხელ ადასტურებს მათი შემოქმედების განსაკუთრებულობას. ქართველმა სიმბოლისტებმა სიმბოლიზმის სამყაროდან აღქმული დიდი ტკივილი და სევდა დაამკვიდრეს ქართულ მწერლობაში ახალი შთამბეჭდავი სახეებით. მინიატურების შესწავლისას გამოიკვეთა შემდეგი სახე-სიმბოლოები:

- საკუთარი ავტობიოგრაფიების გაზღაპრება;
- მეგობართა მისტიფიკაციები ;
- ევროპელ სიმბოლისტთა სახე-სიმბოლოები;
- მზის და მთვარის მისტიფიკაცია;

- ზღვის პოეტური მითი;
- იდეალური პოეტის მისტიფიკაცია;
- მარადქალურობის მითი და სხვა.

სიმბოლისტებთან პოეტური მზე არის: უფალი, ღვთაება, სიცოცხლე, ადამიანი, სატრფო, საქართველო... ყველას და ყველაფერს აქვს თავისი წილი მზე, ანუ სიცოცხლე სამზეოში. თუმცა, როდესაც მწერალს ნაღვლიანი განცდა გადააქვს მზეზე, მაშინ ის შეიძლება იყოს: „მკვდრის მზე“, „დაღალული მზე“. სიმბოლოთა მიხედვით შესაძლოა მწერლები ასე დავეყოთ: მზის პოეტი, ქარის პოეტი, ნისლის პოეტი, მთვარის პოეტი, სისხლის პოეტი, წვიმის პოეტი, თოვლის პოეტი, მალდარორის პოეტი.

ვალერიან გაფრინდაშვილმა პაოლო იაშვილს მზის პოეტი უწოდა, მის გულში მართლაც მზე დუღდა, ბობოქრდა, იგი იყო: „მზის ბოჰემა, რომელსაც წითელ ხარების ხვდა მეხრეობა.. არსად მზეს არ მიუღია ისეთი ლეგენდარული სახე, როგორც მის შემოქმედებაში... პირველი პოეტი, რომელმაც დაინახა მზე საქართველოში, არის პაოლო იაშვილი“ (გაფრინდაშვილი, 1986, 121).

გიორგი ლეონიძის „ჩაბნელებული არმაზი“ ერთგვარი თაყვანებაა მზის, რომელიც სიმბოლოურად უფლის ხატია, სადაც ჩანს ავტორის სურვილი - ქართული ხასიათი წარმართულ ღვთაებასთან, მზესთან დააკავშიროს. მზის თაყვანებაა გადმოცემული ნიკოლო მიწიშვილის მინიატურაში „ყოველივე წარმავალი“, სანდრო ცირეკიძის მინიატურებში: „ჯადო ჩონგური“, „მოთხრობა“, „ზედმეტია?“, „ყვავილმა მწარედ გაიცინა“ და სხვა.

ქართველ სიმბოლისტებთან ზღვა არის სიმბოლო, სადაც ერთმანეთთანაა შერწყმული რეალური და ირეალური, ნამდვილი და წარმოსახვითი. ზღვის მოძრაობა სიმბოლისტებთან ერთგვარი განახლების სიმბოლოა, ეს განახლება კი დაკავშირებულია ქართული ხელოვნების, ქართული სიტყვის განახლებასთან.

მინიატურებში ზღვა შესაძლოა ქვეყნის დამოუკიდებლობასაც დავუკავშიროთ. იგი აღიქმება როგორც მძიმე ხვედრისგან თავის დაღწევის სიმბოლო. მხიარული, ლაღად

მდეღვარე ზღვა თავისუფალი სამშობლოს სიმბოლური ხატია, ხოლო, მოქუფრული, დახურული ზღვა - თავისუფლებადაკარგული ქვეყნის. ზღვა ტიციან ტაბიძესთან აღიქმება, როგორც რეალობიდან გასვლის ერთ-ერთი საშუალება, იგი ერთგვარი სარკმელია სულ სხვა სამყაროში გასასვლელად და გასაჭრელად. ვალერიან გაფრინდაშვილთან ზღვა არის კეთილი, ავზნიანი, მოხეტიალე და ლალი. ზღვის პოეტურ მისტიფიკაციას ქართველ სიმბოლისტთა ნააზრევში ერთგვარად ერწყმის მეორე, ასევე მნიშვნელოვანი მომენტი - ზღვა, როგორც პეიზაჟის აღქმისა და ძერწვის ერთგვარი საშუალება.

ქართველ სიმბოლისტებთან მისტიფიკაცია ერთგვარი პოეტური პოზაა, რომელსაც ზურგს უმაგრებს არა მარტო მათი შემოქმედებითი პოტენციალი, არამედ ბიოგრაფიული შტრიხები. მათთვის ხელოვნება იყო ავტოპორტრეტი, ხოლო ავტოპორტრეტი - პოზა. ქართველმა სიმბოლისტებმა ბოჰემური ცხოვრების თეატრალიზებით მხატვრულ შემოქმედებაში შექმნეს ახალი მისტიფიკაციები და გაიევროპულეს სახელები: ტიტე - ტიციანი გახდა, პავლე - პაოლო, ნიკოლოზი - კოლაუ, კონსტანტინე ჯორჯიკია - ჯაჯუ, დავით ჩხეიძე - დია ჩიანელი, შალვა გოგიაშვილი - შალვა კარმელი, ალექსანდრე არსენიშვილი - ალი, ნიკოლოზ სირბილაძე - ნიკოლო მიწიშვილი...

მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართულმა სიმბოლიზმმა სულიერი თავისუფლების საფუძვლები შექმნა და ქართულ მწერლობაში მოიტანა სრულიად ახალი ცნობიერება. მინიატურისტებმა პროზისა და პოეზიის გასაყარზე აღმოცენებული სიმბოლისტური მინიატურით განაახლეს პოეტური სიტყვა და დატვირთეს უცნაური სახელებით, იდუმალებით. ქართველმა სიმბოლისტებმა მინიატურის განვითარებითა და ნოვატორული იდეებით მსოფლიოს დაანახვეს, რომ არსებობს საქართველო თავისი დიდი, ლამაზი და განუმეორებელი იდუმალი ხელოვნებით.

ნაშრომის ძირითადი დებულებები ასახულია შემდეგ
პუბლიკაციებში:

1. ცისფერყანწელთა პოეტური პროზის ზოგიერთი ასპექტი, სამეცნიერო-რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“, ქუთაისი, 2015, N14, გვ. 111-114;
2. სათაურების სახელდება სანდრო ცირეკიძის მინიატურებში, სამეცნიერო-რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“, ქუთაისი, 2016, N15, გვ. 191-194;
3. გრიგოლ რობაქიძე და ქართველი სიმბოლისტები, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული; თბილისი-2016, N1, 161-165;
4. NITSSHEANISTIC MESSIANIZM WITH GEORGIAN SIMBOLISTS; Philology, literatures and linguistics, Research articles; B/M Publishing San Francisco, California USA; 2016 pg. 65-71; DOI:<http://doi.org/10.15350/L-27>;
5. მარადქალურობის იდეა „ცისფერყანწელთა“ მინიატურებში, ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდის მეოთხე საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის „ენა და კულტურა“ - შრომების კრებული, ქუთაისი- 2017 გვ.233-236;
6. „ცისფერყანწელთა“ მითები (მისტიფიკაცია) და გაზღაპრებული მეგობრობა, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და დოქტორანტთა XIX (75) სამეცნიერო კონფერენცია, თელავი-2017.

**Телавский государственный университет имени Якова
Гогешашвили**

На правах рукописи

Цицино Лапаури

Миниатюрная проза грузинских символистов

**диссертации, представленной на соискание академической
степени доктора филологии(1005)**

Автореферат

Специальность: Грузинская литература

**Телави
2017**

Работа выполнена в департаменте грузинской филологии, на факультете гуманитарных наук Телавского государственного университета имени Якова Гогебашвили

Научный руководитель:

Нино Кочлошвили, профессор
доктор филологических наук

Оппоненты:

Луиза Хвичиа-Бочкова,
доктор филологических наук профессор

Тинатин Асатиани, академический доктор филологии

Защита состоится «___» _____ 20__ года,
в _____ часов на заседании диссертационного совета факультета гуманитарных наук Телавского государственного университета имени Якова Гогебашвили.

Корпус _____, аудитория _____

Адрес: Грузия, Телави, 2200,
ул. Картули университети, №1.
Тел.: +995 350 27 24 01.

С диссертацией можно ознакомиться в библиотеке Телавского государственного университета и на веб-странице:
<http://tesau.edu.ge>.

Ученый секретарь диссертационного совета:
доктор филологических наук,
профессор: Нино Кочлошвили

Общая характеристика диссертационной работы

Наша квалификационная работа охватывает интересный период творчества и деятельности грузинских символистов. В начале двадцатого века грузинские символисты своими реформаторскими идеями создали целую эпоху. Внедрением новых поэтических форм они возвысили грузинскую литературу и, придали ей совершенно иные масштабы.

